

XII—XIII სს. მინანქრებიდან განსაკუთრებული ფერადონებით გამოირჩევა ფირფიტები „ლაზარეს აღდგინების“, „სულიწმინდის მოფენის“ და ზოგი სხვა გამოსახულებით. ზოგიერთ მრავალფიგურიან კომპოზიციაში ჩნდება სივრცობრივი ელემენტები.

განვითარებული იყო გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი. კერამიკული და ლითონის ჭურჭელი მოწმობს, რომ ხელოვნება ყოფა-ცხოვრებაშიც იყო შეღწეული. მრავლადაა გათხრილი ჭურჭლის დამამზადებელი სახელოსნოები. ფართოდ გამოიყენებოდა მხატვრული ქსოვილები. ვითარდებოდა გლიპტიკა — ძვირფასი ქვების, საბეჭდავების დამზადება. გამოირჩევა გიორგი III საბეჭდავი, დამზადებული მთლიანი ოქროსაგან, შემკული წმ. გიორგის გამოსახულებითა და ორნამენტული სახეებით.

ქართული კულტურის სტაბილიზაცია (XIII—XV სს.)

XIII—XV საუკუნეები ერთი უმძიმესი ხანათაგანია საქართველოს ისტორიაში. მონღოლ-თათართა პირველი გამოჩენიდან (1220 წ.) მოყოლებული, ქვეყანას თითქმის არ ჰქონია მშვიდობიანი არსებობის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდი. სამი საუკუნის განმავლობაში დამპყრობთა ახალ-ახალი ტალღა განუწყვეტლივ ცვლიდა ერთმანეთს. მონღოლებისა და ჯალაღენდინის ლაშქრობებმა, თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა დიდად შეამცირა მოსახლეობის რიცხვი, დაცემის გზაზე დააყენა ეკონომიკა, შეანეღა და შეაფერხა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. კულტურის მრავალი კერა მიწასთან გასწორდა. „იყო ყოველი ესე საქართველო... უნუგეშინისცემოდ განსრული, და სრულიად აოხრებული დედაქალაქი მცხეთა და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია, და ევრეთვე ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძკენლითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყოველნი სულნი ქრისტეანენი დედაწულითურთ ტყუე ექმნა“, — ასე აგვიწერს მემატთანე საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ ქართულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები: „ნაქალაქარი“, „ნადაბური“, „ნასოფლარი“, „ნაფუძარი“, „ნავენახარი“, „ნასახლარი“ და სხვ.

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ქართველობამ და ქართულმა სახელმწიფომ არსებობა შეინარჩუნა. კულტურული ცხოვრება თუმცა დაქვეითდა, მაგრამ არ ჩამკვდარა. შეიქმნა კულტურისა და ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები, აღდგა და გადაიწერა წინა დროს მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება, რომელთაც სწორედ ამ გზით მოაღწიეს ჩვენამდე. საგანგებო ზრუნვის საგანი იყო უცხოეთში არსებული ქართული კულტურის კერები.

1. სწავლა-მანათლავისა და კულტურის კარავი

XIII—XV საუკუნეებში სასწავლო და კულტურული საქმიანობის უმთავრესი ცენტრები აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში არსებობდა. მათ შორის პირველობდა თბილისი, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი და უცხოელი სწავლულები და მოღვაწენი, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ნააზრევს. იწერებოდა, მოიხატებოდა და მრავლდებოდა ხელნაწერები. ეს საქმიანობა მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც გრძელდებოდა.

კულტურის მნიშვნელოვან კვრას წარმოადგენდა ლარგვისი — ქსნის ხეობაში მდებარე სამონასტრო ცენტრი, რომელსაც მფარველობდნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ ქსნის ერისთავთა სახლის წევრები.

ლარგვისის მონასტრის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ცნობილია ბანდაისძეთა ვეარის ორი წარმომადგენელი — მამა-შვილი აევგაროზ და გრიგოლ ბანდაისძენი. აევგაროზ ბანდაისძე XVI ს. მეორე ნახევრის მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარია. მისი გადაწერილია პარაკლიტონი¹. ამ სამუშაოს შესრულებას აევგაროზი 17 წელიწადს მოუნდა, როგორც ჩანს, იგი ინტერვალებით მუშაობდა: ქვეყნის მძიმე მდგომარეობა სხვა საშუალებას არ იძლეოდა. კრებულს მრავალი საინტერესო მინაწერი აქვს. ერთი მათგანი მოგვითხრობს: „სახელითა ღვთისაჲთა და თანაშეწევნითა წმიდის თედორე ლარგვისისაჲთა ღირს ვიქმენ არა ღირსი მწერალი აევგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... კელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლანაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა. ქორონიკონი იყო ლვ (1348 წ.)... ოდეს ვიწყე წერად, ყმა ვიყავ და აქა მიმჯცოვნებულმან სრულეყავ ქორონიკონსა მიგ (1365 წ.)“.

მეორე წარწერაში აევგაროზი სიამაყით მოგვითხრობს, რომ მან მასწავლებლის გარეშე შეითვისა ათი ხელობა. ამ წარწერიდან ჩანს, რომ აევგაროზ ბანდაისძეს მარტოს შეეძლო მთელი წიგნის შესრულება — დაწყებული ეტრატის მომზადებით და დამთავრებული წიგნის აკინძვით.

ხელნაწერი ნუსხურია, ყავისფერი მეღვინით შესრულებული, ტექ-

¹ პარაკლიტონი — კრებული, რომელიც შეიცავს შეიდეულისათვის (ორშაბათი-კვირა) განკუთვნილ საეკლესიო საგალობლებს.

სტშივე ჩართული სინგურით გამოყვანილი მთავრული ასოებით. ხელწერა ლამაზია, გამოცდილი და დაჯერებული. ტექსტის თავსამკაული სწორკუთხა ზოლი ხაზოვანი ხლართით, მცენარეული და სხვა ორნამენტით, პრიმიტიულია.

ქსნის ერისთავ ვირშელისათვის კალიგრაფ ვიორგი თაბაურის მიერ გადაწერილ სახარებაში აევგაროზ ბანდაისძეს შეუსრულებია წიგნის კამარები და მახარებელთა სურათები. მათე მახარებლის გამოსახულების ქვეშ მინაწერია: „ეს ოთხნი მახარებელნი და ზემოთ კამარანი დაიხატეს ჳელითა აევგაროზ ბანდაისძისაჲთა, შენდობა ყავთ“.

მკვლევრები თვლიან, რომ აევგაროზ ბანდაისძის შედგენილი უნდა იყოს ქსნის საერისთაოს ცნობილი მატთანე „ძველი ერისთავთა“.

ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდა გრიგოლ ბანდაისძეც — აევგაროზის ვაჟი. მას აღუდგენია, განუახლებია, მოუხატავს და შეუმკია ძველი მონასტერი, აუგია ახალი დამხმარე ნაგებობანი, შეუწირავს ხელნაწერები.

XIV—XV საუკუნეებში ლარგვისის მონასტერს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. იგი ივსებოდა ქსნის ერისთავთა ოჯახის წევრებისა და სხვა პირთა შეწირულებებით.

მნიშვნელოვანი სამწიგნობრო კვრა იყო საციციანოს ცენტრი — მძოვრეთი. XV ს. მეორე ნახევარში იქ მოღვაწეობდა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთი ძვირფასი ხელნაწერი — კარაბადინი, რომელიც 1479—1505 წწ. გადაუწერია მაღალაძეს. გადამწერი საგანგებოდ აღნიშნავს ზაზას ღრმა განსწავლულობას და დიდ მეცნიერულ ცოდნას. ზაზა შესანიშნავი მკურნა ღი, მედიცინის კარგი მცოდნე ყოფილა.

მონღოლთა ბატონობით შექმნილი მძიმე პირობების მიუხედავად, XIV საუკუნემდე ქართული კულტურის გავლენა კვლავ ვრცელდებოდა კავკასიის მთიანეთში, დაღესტანში. ქართული ეკლესია იქ სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა. ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას უნდა მოჰყოლოდა ქართული კულტურისა და ქართული პოლიტიკური ორიენტაციის გაძლიერება. ამ ფაქტს ადასტურებს ცენტრალურ დაღესტანში (ჰალა, ხუნძახი და სხვ.) მიკვლეული ქართული წარწერები, რომელთაგან ყველაზე გვიანდელი XIV საუკუნისაა. ამის შემდეგ ქართველთა კულტურული გავლენა კავკასიის მთიანეთში თანდათან მცირდება. თემურ-ლენგის მიერ გატარებული რელიგიური პოლიტი-

ვის შედეგად იქ ფეხს იკიდებს ისლამი, რაც, ერთი მხრივ, ადვილობრივი წარმართული, მეორე მხრივ, ქართული ქრისტიანული რელიგიის შეზღუდვის ხარჯზე ხდება.

ინტენსიური კულტურული ურთიერთობა არსებობდა ქართველ და მეზობელ ქრისტიან ხალხებს შორის. ეს, პირველ რიგში, ითქმის საქართველოს ფარგლებში მოქცეულ სომეხ დიოფიზიტებზე, რომლებიც დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლების მიმართ. XIII საუკუნეში ვინმე სიმეონ სუცესმონაზონს ქართულიდან სომხურ ენაზე უთარგმნია თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებები: იოანე პეტრიწის მიერ კომენტირებული პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ და სხვ. სიმეონს თარგმანი შეუსრულდა 1248 წ. ქართველთა საფანეში — პღვნძაძანქში. ეს მონასტერი მხარგრძელების სამფლობელოში, ლორეს მახლობლად მდებარეობდა. როგორც ჩანს, იქ იყვნენ ქართველი და სომეხი ქალკედონიტი (მართლმადიდებელი) სასულიერო პირები. ასეთი საფანეების მეშვეობით ხდებოდა ქართული მართლმადიდებლობის შეჭრა სომეხთა წრეებში.

XIII—XV სს. რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უცხოეთში არსებული ქართული საფანეები, თუმცა მათ მთლიანად არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

XIII ს. მეორე ნახევრიდან განუწყვეტელი ბრძოლის სახე მიიღო ქართველთა მოღვაწეობამ იერუსალიმში. ქართული სახელმწიფოს შესუსტებისთანავე ქართველებს ჯვრის მონასტერი ჩამოართვეს და იგი მიზგითადაც კი აქციეს. ეს მოხდა 1273 წელს, ეგვიპტის სულთან ელ მელიქ ბეიბარსის დროს. მამლუქთა ამ ძალმომრეობას შეეწირა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი ლუკა იერუსალიმელი (მუხაისიქ-აბაშიძე).

ქართველები არ შერიგებიათ ჯვრის მონასტრის დაკარგვას. 1305 წელს, მეფე დავით VIII დროს (1293—1311 წწ.) მათ შეძლეს სარკინოზთაგან (მამლუქთაგან) ჯვრის მონასტრის გათავისუფლება. „წირვაჲ და აღაბი საუკუნოჲ დავით მეფეთა მეფისა, და მეორედ აღმაშენებლისაჲ წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუნული მონასტერი და ეკლესია მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავსა ქართველთასა, რომლისა საუკუნომცა არს საჯსენებელი“, — ნათქვამია დავით

VIII-თვის გაწესებულ ადაპში. ქართულ წყაროთა ცნობებს ადასტურებს არაბული წყაროებიც.

ჯვრის მონასტრის დაბრუნების შემდეგ ქართველებს მონასტრის მხატვრობის განახლებაზეც უზრუნიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იმერთა მეფე კონსტანტინე I (1293—1327 წწ., დავით ნარინის ვაჟი) ღვაწლი. გამოცოცხლდა შემოქმედებითი და მწიგნობრული საქმიანობა. ამ ხანებში შეიქმნა ქართული ორიგინალური თხზულებანი — ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი. განახლდა ხელნაწერთა გამრავლება, გამდიდრდა წიგნსაცავი.

დიდ ყურადღებას იჩენდა იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი გიორგი V ბრწყინვალე. მისი ელჩები, რომელთაც, სხვა საკითხებთან ერთად, იერუსალიმში ქართველთა უფლებების დაცვაც ჰქონდათ დავალებული, ორჯერ იყვნენ ეგვიპტის სულთანთან — 1316 წ. და 1320 წ. ერთ-ერთ ელჩობასთან ერთად გაემგზავრა შალვა ქსნის ერისთავის ძე პაპა, რომელმაც მოიპოვა ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები. „მეგლი ერისთავთა“ ამ ამბავს შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიენტი იერუსალმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუსნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პაპაჲ, ვხასა ჳმელეთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა და წარჰყვა თანა ბანდასმე დეკანოზი იოვანე და მივიდა პაპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალმისანი. მივიდა პაპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა; ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად“. ამის შემდეგ პაპა სამშობლოში დაბრუნდა, „ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“.

უცხოური წყაროები ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ქართველები მართლაც ფლობდნენ ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღებს. რუდოლფ სუდჰეიმი, რომელიც 1331—1341 წწ. იყო იერუსალიმში, აღნიშნავს, რომ გასაღებს ქართველები ფლობდნენ და კენჭსაც კი არავის ამღვედნენ ამ საფლავიდან.

ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები საბოლოოდ ფრანცისკანელებმა ჩამოართვეს ქართველებს XV ს. შუა წლებში.

მათ შორის, ვინც აქტიურად იბრძოდა ქართველთა უფლებების დაცვა-აღდგენისათვის იერუსალიმში XV ს. მეორე ნახევარში, განსა-

კუთრებით აღსანიშნავია გიორგი VIII (1446—1476 წწ.), სახლთ-
უხუცესი ბენა ჩოლოყაშვილი, რომელიც ჯვრის მონასტრის წინა-
მძღვარი — ჯვარის მამა იყო. მისი დამსახურებაა „ფრანგების“ მიერ
მიტაცებული გოლგოთის კვლავ ქართველთა სავანედ ქცევა, ქართუ-
ლი ხელნაწერების შეკაზმვა-რესტავრაცია. ბენა, რომელიც გიორგი
VIII სიცოცხლეში ჩავიდა იერუსალიმში, 1514 წელსაც იქ ჩანს. რო-
გორც ირკვევა, მისი ენერგიული მოღვაწეობა იერუსალიმში საკმაო
ხანს გაგრძელდა.

XV საუკუნეში ქართველებს ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდათ
იერუსალიმსა და ეგვიპტეში. წერილობით წყაროებს დაუფიქსირებია
გოლგოთიდან მათი განდევნის რამდენიმე უშედეგო ცდა. იმდროინდელი
მოგზაური ბარტლომე დე სალინაგო მოგვითხრობს, რომ იერუსა-
ლიმში სალოცავად ჩასული ქართველები ქალაქში საზეიმოდ მოკაზ-
მულ ცხენებსა და აქლემებზე ამხედრებული შედიოდნენ და, სხვათა-
გან განსხვავებით, ამისათვის სულთანს გადასახადს არ უხდინდნენ.
ნ. მარის მიერ იერუსალიმის საპატრიარქოს არქივში მიკვლეული
არაბული საბუთის დედანი, რომელიც ეგვიპტის მამლუქთა ბრძანე-
ბას შეიცავს, გვაუწყებს, რომ ქართველ მლოცველთა დაცვისა და
მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ქართველთა ჯვრის მო-
ნასტერთან იმყოფებოდა ხოლმე საგანგებო არაბი მოხელე, რომელიც
მოვალე იყო, ქართველ მლოცველებს ალეპოშივე დახვედროდა და
იერუსალიმამდე მიეცილებინა. ასევე უნდა გაემგზავრებინა ისინი
უკან დაბრუნების დროს.

XIII—XV სს. ქართველები პეტრიწონის მონასტერშიც (ბულგა-
რეთი) მოღვაწეობდნენ. ამას მოწმობს მთავარ ეკლესიაში დღემდე
შემონახული ღვთისმშობლის ქართულ ასომთავრულწარწერიანი ხა-
ტი, რომელიც XIV საუკუნეში მოუჭედინებიათ. ხატის წარწერა, რო-
მელიც 1311 წლით თარიღდება, ცხადყოფს, რომ ამ დროს ქართვე-
ლებს ჯერ კიდევ მტკიცედ უპყრიათ პეტრიწონი. იქ მოღვაწეობენ
ტაოელი ძმები, ეგნატის შვილები — ათანასი და ოქრობირი, რომელ-
თაგან ერთი იხსენიება როგორც მოძღვარი. მიჩნეულია, რომ ტერმი-
ნი „მოძღვარი“ აქ თანამდებობით მასწავლებელს ნიშნავს. ეს იმის
მანიშნებელია, რომ XIV საუკუნეში პეტრიწონში ჯერ კიდევ არსე-
ბობდა გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონით გათვალისწინებული სას-
წავლებელი, რომელიც სემინარიადაც იხსენიება და, რომელიც პეტრი-

წონის მონასტრისათვის მონაზვნებს ამზადებდა. გრიგოლის ტიპიკო-
ნი XIV საუკუნეში ისევ ძალაში იყო.

ქართველების ყოფნას პეტრიწონში მონასტრის გუმბათის ქარ-
თულწარწერიანი ჯვარიც ადასტურებს. მთავრული ასოებით შესრუ-
ლებულ ამ წარწერას („ძლევა იესუს ქრისტესი“) ა. შანიძე XIV სა-
უკუნით ათარიღებდა.

1363 წ. თურქებმა აიღეს ქ. ფილიპოპოლი და პეტრიწონიც ხელი
იგდეს, რის შემდეგ არაერთხელ დაარბიეს და გაძარცვეს სავანე.

შედარებით ნაკლები ცნობები ვვაქვს ათონის ივერთა მონასტრის
ისტორიის შესახებ თამარის მომდევნო ხანაში. 1259 წ. ათონის ნა-
ხევარკუნძული, კერძოდ, იქაური მონასტრები ჯვაროსნებმა დაარბი-
ეს. მათ ვერც ქართული სავანე გადაურჩა. „საფრანგეთით მომავალნი
ავაზასებრ ზემოთქმულსა მონასტერსა ზედა დაესხენ და მოაოხრეს
და თუ ითქუმის, უმკვდროდ და იავარყოფილად დაუტევეს და ყოვე-
ლნივე სამდღელონი ჭურჭელნი და შეწირულებანი და ანურადცა სა-
მსახურებლად მონაზონთა იყვნენ, ნატყუნეაჲ-ყვეს და არარაჲსა დამ-
ტვებელნი უწარჩინებულესსა ამას მონასტერსა შინა, გარნა მხოლოდ
საყოფელისა უდაბნო და იავარყოფელნი წარვიდენ. მონაზონნი
უკუე ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე ყვეს, ხოლო სხუანნი
დევნენს და მეოტყვეს“, — მოგვითხრობს ერთ-ერთი ძველი წყარო.

XIII ს. 80-იან წლებში ათონი კიდევ ერთხელ დაარბიეს ლათი-
ნებმა, რომელთაც ბერებს კათოლიკობის მიღება და რომის პაპის
უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს. ათონელებმა უარი განაცხადეს,
რისთვისაც სასტიკად დაისაჯნენ.

XIV ს. დამდეგს ათონი რამდენჯერმე დაარბიეს თურქებმა და
არაბებმა. ამ უკანასკნელებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული სა-
ვანე და მთავარი ტაძრის დანგრევაჲც კი განიზრახეს, მაგრამ ვერ მო-
ახერხეს. ამავე საუკუნის შუა ხანებში ათონის მთა ერთხანს სერბი-
ის მეფე სტეფანე დუშანის ხელში იყო, რომელმაც ივერთა მონასტე-
რი გადასახადისაგან გაათავისუფლა და მამულები დაუმტკიცა. ამ პე-
რიოდში იქ წინამძღვრად ქართველი ყოფილა, რომელიც სხვა სავა-
ნეთა საქმიანობაშიც მონაწილეობდა.

საერთოდ, XIII ს. მიწურულიდან, საქართველოს პოლიტიკური
ძლიერების დაქვეითებასთან ერთად, ქართველთა რიცხვი ათონზე
თანდათან კლებულობს. მწვავედება წინააღმდეგობა ბერძნებსა და ქა-
რთველებს შორის. ბერძნებმა შეძლეს კონსტანტინოპოლის პატრიარ-

ქისა და ათონის მონასტრების საბჭოს თავკაცთა მიმხრობა. პატრიარქმა დაეა ბერძენთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, ქართველებს პასუხსავებ თანამდებობათა დაკავება აუკრძალა, მთავარი საკრებულო ტაძარი ჩამოართვა და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა. მაგრამ ბერძენებმა მხოლოდ დროებითი წარმატება მოიპოვეს. პატრიარქის გადაწყვეტილება ბოლომდე არ განხორციელებულა. მომდევნო პერიოდში ქართველები კვლავ ჩანან წინამძღვრებად.

გაჭირვების დროს ათონელი ქართველები თანამემამულეებს მიმართავდნენ და ქართველი მეფეები თუ დიდებულები შეძლებისდაგვარად უმართავდნენ ხელს.

1453 წ. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს ათონის მთაც და დაარბიეს იქაური სავანეები. მრავალგზისმა დარბევა-აოხრებამ ქართველთა სავანე დაასუსტა და დააუძლურა. ქართველმა მოღვაწეებმა კვლავ თანამემამულეებს მიმართეს და დახმარების სათხოვნელად საქართველოში წარმომადგენლები გამოუგზავნეს. 1492 წ. ათონელი ბერები საქართველოში ჩამოვიდნენ, სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ეახლნენ და შემწეობა სთხოვეს. ის „კეთილ მსმენელ ექმნა და შეეწია მათ“. ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ მისი ძენი „ქაიხოსრო და მზეჭაბუკ, კეთილმსახურნი მეფენი და ბატონნი, დიდად შეეწიენ მონასტრისა აღდგინებასა და მისთასა-ნიოვავეთა და სადგურთაცა და დაცემულნი და განხრწნილნი გოდოლიცა მაშინ აღევო და საფუძველითგან აღშენებულ იქმნა და ეკლესიისა გუმბათნი და გარე კარიბჭე და სხუანიცა ყოველნი სასარგებლონი სახმარებელნი აღმზადებულ იქმნენ“.

2. საისტორიო მშარლოვა

საქართველოს ისტორია ლაშა გიორგის დროიდან გიორგი ბრწყინვალეს გამეფებამდე ეკუთვნის XIV საუკუნის ისტორიკოსს, რომლის სახელი უცნობია. იგი ისტორიას „შამთააღმწერლობას“ უწოდებს, ისტორიკოსს კი — შამთააღმწერელს. ამის გამო ივ. ჯავახიშვილმა თვით ამ ისტორიკოსს უწოდა შამთააღმწერელი და ჩვენს ისტორიოგრაფიაში მას ეს სახელი დაუმკვიდრა.

შამთააღმწერლის თხზულება აგვიწერს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, სახელმწიფო წყობას, მართვა-გამგეობის წესს, მცხოვრებთა რაოდენობას, გადასახადებს, საეკლესიო საქმეებს და სხვ.

ავტორი ფრიად განათლებული ადამიანი ჩანს, კარგად იცის მსოფლიო ისტორია, ქართულის გარდა, იცნობს ბერძნულ, სპარსულ და მონღოლურ წყაროებს, კრიტიკულად ეკიდება მათ. ამავე დროს, იგი ასახულებს თავის დამოკიდებულებას წყაროებისადმი. „შამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თუალაბმა ვისთვისმე“, — ამ პრინციპით ხელმძღვანელობს შამთააღმწერელი. იგი გულისტკივილით აღწერს მეფის თუ რომელიმე დიდებულის მიერ ჩადენილ უღირს საცტიცელს და სიამაყით მოგვითხრობს ცოტნე დადიანის, დემეტრე II, ავაგ სპასალარის ეჯიბის — დავითის (ივანე ახალციხელის ძის) გმირულ თავგადასავალს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ შამთააღმწერელი არ კმაყოფილდება მოვლენების უბრალო აღწერით და ცდილობს ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები. საინტერესოა საქართველოს სამეფოს დაცემის მიზეზის შამთააღმწერლისეული ახსნა: იგი მიიჩნევს, რომ ქართველობა დემეტრე ცოდევისათვის დასაჯა, მოუფლინა „რისხვა ზეგარდმო უსჯულოებისა და ცოდვათა ჩუენთათვის“.

შამთააღმწერლის თხზულებას თვალსაჩინო ადგილი უკავია არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ მონღოლური პერიოდის ისტორიოგრაფიაში, რომელიც არაბულ, სპარსულ, სომხურ, სირიულ და ევროპულ ენებზე შესრულებული არაერთი საისტორიო ნაწარმოებით არის წარმოდგენილი. იგი საყურადღებო ცნობებს შეიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მონღოლთა ულუსებისა და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორიისათვისაც. დაცულია ზოგიერთი ისეთი ცნობა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, რომლის მსგავსი სხვა წყაროებში არ გვხვდება.

ქართული, ბერძნული, სომხური ნარატული წყაროების გარდა, შამთააღმწერელს გამოუყენებია მონღოლური წყაროები, ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები, ბაჟის წიგნები. იგი ვრცლად აღწერს მონღოლთა სადაურობას, ენას, ტომობრივ ორგანიზაციას, ყოფა-ცხოვრებას, სარწმუნოებას, თემუჩინის აღზევებას და მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნას, მონღოლთა დაპყრობით ომებს, მონღოლურ ულუსებს, მათი ბატონობის დროს დაწესებულ გადასახადებს. გვხვდება მონღოლურ-თურქული წარმოშობის მრავალი ტერმინი, რომელთაგან ზოგის ახსნას თავად ავტორი იძლევა. როგორც ჩანს, შამთააღმწერელს უსარგებლია თქმულებებითა და ზეპირგამოცემებითაც.

ამრიგად, ჟამთააღმწერლის თხზულება ერთ-ერთი საუკეთესო პირველწყაროა XIII—XIV სს. წინა აზიის ისტორიის შესასწავლად. ჟამთააღმწერელი იხსენიებს თავის თანამედროვე კიდევ ორ ქართველ ისტორიკოსს — „ბერი ვინმე მღუიმელს“ და „წიგნის მეფეთა ბალუაშისთა და ნათესავთა მისთა“-ს ავტორს, რომელთა თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

XIV ს. ძეგლია აგრეთვე ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიაწე „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც ავგაროზ ბანდაისძეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი დაწერილია 1348—1400 წლებს შორის, ქსნის ერისთავთერისთავის ვიწმელ III დროს. ავტორის ინტერესის საგანია კონკრეტულად ქსნის საერისთავო, მისი წარმოშობის ისტორია, ქსნის ერისთავთა მოღვაწეობა, მათი სამხედრო თუ საამშენებლო საქმიანობა. „ძეგლი ერისთავთა“ ტიპური ნიმუშია ლოკალური მატიაწეებისა, რომელთა შექმნა, როგორც წესი, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში იწყებოდა.

ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა კომისიის“ ცნობიდან ვიგებთ, რომ ცალკე თხზულებათა სახით ყოფილა დაწერილი მეფე ბაგრატ V (1360—1393 წწ.) და მისი ძის კონსტანტინე I (1407—1411 წწ.) მეფობის ისტორიები, რომლებიც „სწავლულ კაცებს“ განახლებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანიათ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ ორი თხზულების ავტორი XV ს. მეორე ნახევარში მოღვაწე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს და იგი ბარათაშვილის გვარს ან მათ ყმათა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს. არც ამ თხზულებებს მოუღწევია ჩვენამდე.

XIII—XV სს. კვლავ საგანგებო ყურადღების საგანი ყოფილა „ქართლის ცხოვრების“ კრებული. XIII საუკუნეში მასში შეუტანიათ „მატიანე ქართლისაჲ“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება. XV ს. მეორე ნახევრიდან შემოგვრჩა „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ანასეული ნუსხა — კრებული, გადაწერილი ალექსანდრე მეფის მეუღლის, დედოფალ ანას ბრძანებით 1479—1495 წლებს შორის. ეს ხელნაწერი შემთხვევით აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა 1913 წელს სოფ. ლამისყანაში, ჯამბაკურ ორბელიანების ოჯახში. იგი უძველესია „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის. ზენით დასახელებული ორი ნაწარმოების გარდა, მასში შედის ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები.

3. ლიტერატურა

XIII ს. მეორე ნახევრიდან XV ს. ბოლომდე ლიტერატურის რაიმე დიდმნიშვნელოვანი ძეგლი არ შექმნილა, მაგრამ ლიტერატურული შემოქმედება გრძელდებოდა.

XIII—XIV სს. მიჯნაზე მაკარ მღვდელმა (მესხმა) თარგმნა და გადმოაკეთა „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“. პეტრე იბერის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე მის მოწაფეთაგან დაწერა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია. მათგან ერთ-ერთი — პეტრეს მოწაფის იოანე რუფუსის მიერ V ს. ბოლოს ბერძნულად დაწერილი თხზულება — გამოირჩევა სისრულითა და თანამიმდევრობით. ბერძნული დედანი არ შემონახულა, შემოგვრჩა VI საუკუნეში შესრულებული სირიული თარგმანი. სწორედ იგი უნდა იყოს მაკარის თხზულების საფუძველი. როგორც უკვე ვთქვით, ეს არ არის პირდაპირი თარგმანი, იგი მაკარს განუვრცია და გადმოუკეთებია. პირვანდელი სახით მაკარის თხზულება არ შემონახულა, იგი ცნობილია პავლე დეკანოზის რედაქციით, რომელიც XV საუკუნეს მიეკუთვნება.

XIII—XIV სს. მიჯნაზე მოღვაწეობდა „ქართველთა მნათობად“ წოდებული ნიკოლოზი, რომელსაც დაუწერია საგალობლები და „მრავალნი კანონნი“. სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

ამ პერიოდის ჩვენამდე მოაღწია ორმა აგიოგრაფიულმა თხზულებამ. ესენია „წამებაჲ ლუკა იერუსალიმელისაჲ“ და „წამებაჲ ნიკოლოზ დვალისაჲ“. ორივე XIV საუკუნეშია დაწერილი.

„ლუკა იერუსალიმელის წამება“ მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ჯვრის მონასტრისა და, საერთოდ, პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. ლუკა ქართველი, გვარად აბაშიძე, სამი წლის მანძილზე (1270—1273 წწ.) ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი იყო. ესაა მამლუქთა მოძალებისა და მათგან მონასტრის დიდი შევიწროების პერიოდი. მამლუქებმა შეძლეს მონასტრის წართმევა ქართველთათვის, მაგრამ დავით VIII (1293—1311 წწ.) მოახერხა მისი უკან დაბრუნება. ამ ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო ლუკა იერუსალიმელი. მაჰმადიანობის მიღებაზე უარის თქმის გამო მას თავი მოჰკვეთეს.

ნაწარმოებში დაცული ცნობები დასტურდება არაბული წყაროებითაც. „ლუკა იერუსალიმელის წამებიდან“ ვიგებთ, რომ იერუსალი-

მში არსებულა ქალთა ქართული მონასტერიც, სადაც აღკვეცილა ლუკას დედა. დედათა ქართული მონასტრის არსებობას ადასტურებს კიდევ ერთი წყარო — სალომე ქართველის სენაქსარული მოსახსენებელი: მკვლევართა აზრით, სალომე XIII ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდა იერუსალიმის რომელიდაც ქართულ მონასტერში და ისიც, როგორც ლუკა, მამლუქთა ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა.

ნიკოლოზ დვალის მონასტერში მოღვაწეობდა. იგი ქრისტიანობისათვის ეწამა: 1314 წ. 19 თქტომბერს მას დამასკოში თავი მოჰკვეთეს, ცხედარი კი ცეცხლში დაწვეს. „ნიკოლოზ დვალის წამება“ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სირია-პალესტინაში მამლუქთა ბატონობის პერიოდის შესახებ. თხზულებიდან ჩანს, რომ მიუხედავად მამლუქთაგან ქრისტიანთა შევიწროებისა, ქართველები, სხვა ქრისტიანებთან შედარებით, გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ეს დასტურდება აღმოსავლური და დასავლური წყაროებითაც. თხზულებაში დაცულია ცნობა კვიპროსზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ. ეს უნდა იყოს ის მონასტერი დალია თუ ჟალია, რომელსაც დაეთისა და თამარის ისტორიკოსები იხსენიებენ. როგორც ჩანს, იგი არსებობას განაგრძობდა XIV საუკუნეშიც.

4. სამართლებრივი კულტურა და კანონმდებლობა

XIII—XV საუკუნეებიდან მოღწეული საკანონმდებლო ძეგლები ადასტურებს, რომ საქართველოში იმჟამად ფართო საკანონმდებლო მუშაობა მიმდინარეობდა.

XIII—XIV სს. მიჯნაზეა შედგენილი ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ცნობილია ბექას სამართლის სახელწოდებით — „წიგნი სამართლისა კაცისა შეცოდებისა ყოველივე“. დამოუკიდებელი სახით მას ჩვენამდე არ მოუღწევია: XIV ს. მეორე ნახევარში ბექა მანდატურთუხუცესის შვილიშვილმა — ალბუღა ათაბაგ ამირსპასალარმა მას 33 მუხლისაგან შედგენილი „სამართალი“ დაურთო. ამიტომ ამ ძეგლს, ჩვეულებრივ, „ბექა-ალბუღას სამართალს“ უწოდებენ.

ეს სამართლის წიგნი სამცხე-საათაბაგოსათვის არის შედგენილი, მაგრამ რამდენადაც სოციალ-ეკონომიკური განვითარების სურათი სამცხესა და საქართველოს სხვა კუთხეებში დაახლოებით ერთნაირი

იყო, ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი მთლიანად საქართველოს ვითარებაზე გვიქმნის წარმოდგენას.

ძეგლი მოიცავს სამოქალაქო ურთიერთობის ყველა სფეროს: სოციალურ წყობასა და სოციალურ ურთიერთობებს, სამართლის ინსტიტუტებს, სასჯელს ამა თუ იმ დანაშაულისათვის. საუბარია დანაშაულის ისეთ სახეებზე, როგორცაა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, მუქარა, ცილისწამება, ქურდობა, მექრთამეობა, ვენახისა და ხეხილის აჭრა, ყანის დათიბვა, ცეცხლის წაკიდება და სხვ. განხილულია საოჯახო სამართლის ნორმები.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი ქართული ფეოდალური სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე — გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებასა“ და ვახტანგ VI სამართლის წიგნზე.

„ძეგლის დადება“ ქართლის მთიანეთისათვის შექმნილი სისხლის სამართლის კანონთა კრებულია, შედგენილი გიორგი ბრწყინვალეს მიერ. იგი შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან, რომელთაგან 42 სისხლის სამართლის დარგს განეკუთვნება. მონდოლთა ბატონობის პერიოდში ბარისა და მთის ურთიერთობა გართულდა, შესუსტდა მეფის ხელისუფლების გავლენა მთაზე. „ძეგლის დადება“ სწორედ მთაში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს შერყეული გავლენის აღდგენას ისახავს მიზნად.

საყურადღებოა ისიც, თუ როგორ შეუდგენიათ კანონთა ეს კრებული: გიორგი ბრწყინვალეს წინასწარ შემოუვლია მთიანეთი დარიალამდე, მოუწვევია თემის ერისთავნი, ხევისბერნი და ჰაეროვანნი (მთის თავისუფალი მოსახლეობის წარმომადგენლები), მოუსმენია მათთვის, ვაცნობია იქაურ საქმესა და ვითარებას, მთის სალოცავეებში ულოცია და ბარში დაბრუნებულა. შემდეგ შეუკრებია ქართლის კათალიკოსი, ეპისკოპოსნი, ვეზირნი და მოურავნი და ასე ერთობლივად შეუმუშავებიათ სამართლის ნორმები.

„ძეგლის დადება“ შეიცავს საინტერესო ცნობებს სახელმწიფო წყობისა და სამეფო კარის შესახებაც. კერძოდ, მასში მოხსენიებულია „დარბაზი“ და მისი ზოგიერთი ფუნქცია. დარბაზი მუდმივმოქმედი დაწესებულება ჩანს, რომელიც მეფესთან ერთად წყვეტს რთულ სახელმწიფოებრივ საკითხებს. დარბაზს უნდა მოხსენდეს მამულის ჩამორთმევისა თუ დაბრუნების საკითხები.

გიორგი ბრწყინვალეს დროსვეა შედგენილი ძეგლი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო წესწყობილებისა და ქვეყნის შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად — „ხელმწიფის კარის გარიგება“. ეს არ არის მოქმედი კანონი, ოფიციალური აქტი. იგი მეფის კარისკაცის, რომელიც მაღალი რანგის მოხელის მიერ პრაქტიკული მიზნით შედგენილი ძეგლია — სახელმძღვანელო კარისკაცებისა და ყველა მოხელისათვის. ესაა ერთგვარი კრებული, კოდექსი, რომელიც აწესრიგებს სამეფო კარის ფუნქციონირებას, მოხელეთა და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობებს, დაწესებულს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეფის მიერ და შემდეგ ჩვეულებად დამკვიდრებულს. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო წყობილების საკითხებზე ამგვარი შრომები იქმნებოდა, იურიდიული აზროვნების მაღალი დონის მიჩვენებელია.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ძირითადი წყარო მოქმედი კანონმდებლობაა. მის გარდა, ავტორს უსარგებლია ამ საკითხზე არსებული ლიტერატურით (იგი ეკამათება ასეთი შრომის სხვა ავტორებს) და კარგად სცნობია მატრიანებიც.

XIII—XIV საუკუნეებშია შექმნილი საერო სამართლის კიდევ ორი საკანონმდებლო ძეგლი: „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა“ და „მთავართა და ერისთავთა დადგინების წესი“. პირველი მათგანი მეფეთა საეკლესიო კურთხევის წესი კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრივი წესის განგებაა, რაც საყურადღებო წყაროა მეფის ხელისუფლებისა და სამოხელეო წესწყობილების შესასწავლად. მეორის მნიშვნელობას კი ის განსაზღვრავს, რომ როგორც მისი შესწავლა ცხადყოფს, საქართველოში (ისევე როგორც სხვა კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში) შემუშავებული ყოფილა არა მარტო მეფის, არამედ მეფის ხელქვეითი მმართველი პირებისა და მოხელეების „დადგინების წესიც“.

5. სავითარება, ხელოვნება

XIII—XV საუკუნეების მანძილზე ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების არაერთი ძეგლი იქმნება, მაგრამ თანდათან ძლიერდება დაქვეითების ტენდენცია. XIV ს. მეორე ნახევრიდან აშკარად იჩენს თავს როგორც პროფესიული დონის დაქვეითება, ისე ზოგი ახალი

სტილისტური ნიშანი — ძეგლთა მხატვრული მთლიანობის დაკარგვა, ეკლექტიზმი, ჩუქურთმების ხელოვნური სიმშრალე და სხვ.

ამ პერიოდის ძირითადი ხუროთმოძღვრული ძეგლები სამცხეშია თავმოყრილი, რადგან იქ, საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობა იყო. სამცხის ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ ზარზმის ტაძარი და სამრეკლო (XIV ს. დასაწყისი), აშენებული სერაპიონ ზარზმელის დროინდელი მონასტრის ფარგლებში; თისელის, ბიეთის, ჭულეს ეკლესიები (XIV—XV სს. მიჯნა). ზარზმისა და ჭულეს (ისევე როგორც საფარაში) ყოფილა სამცხის ათაბაგთა პორტრეტები, ჭულეს ეკლესიის მოხატვა, წარწერის თანახმად, 1381 წ. დაუსრულებიათ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საფარის წმ. საბას ეკლესია (დიდი მონასტრის ანსამბლის ნაწილი), აგებული XIII ს. 80-იან წლებში სამცხის ათაბაგის ბექა მანდატურთუხუცესის მიერ. ხუროთმოძღვარი ყოფილა ფარეზასძე, რომლის სახელი იხსენიება სარკმლის წარწერაში ტაძრის დასაყდეთის კარიბჭეზე: „სრულ იქნა საყდარი ესე საძირკულითვე ყოველითა ფერითა ხელითა ფარეზასძისათა. შეუნდვენ ღმერთმან“. საფარაშივე შემონახა რელიეფი — მამაკაცი გონიოთი და ჩაქურით ხელში, წარწერით: „ფარეზს შეუნდვენ ღმერთმან“. საფიქრებელია, რომ ეს ფარეზა მამაა საფარის მშენებლისა, რომელსაც თავისი ხელობა მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული.

ფარეზასძე, როგორც ჩანს, ბექა მანდატურთუხუცესის კარის ხუროთმოძღვარი იყო და ხელმძღვანელობდა საფარის მთელი კომპლექსის მშენებლობას (საფარაში დარჩენილია იმდროინდელი სამრეკლო და სასახლის ნანგრევები). წმ. საბას ტაძარი ჯერ კიდევ მრავლად შეიცავს XII—XIII სს. მიჯნისათვის დამახასიათებელ ფორმებსა და ელემენტებს, მაგრამ აშკარად იგრძნობა ამ ტრადიციებიდან მოწყვეტის ნიშნებიც. ფასადთა კომპოზიციის მხრივ ძეგლი მოკლებულია მთლიანობას, მოტივებით მდიდარ მის მორთულობაში ერთგვარი მოღუნება იგრძნობა. ტექნიკის მხრივ ჩუქურთმათა შესრულება მაღალ დონეზეა. გამოცდილი ოსტატის ხელი ჩანს საინჟინრო-სამშენებლო თვალსაზრისითაც: ტაძრის ასაშენებლად საჭირო გამხდარა საგანგებო საყრდენი კედლების ამოყვანა ციცაბო კლდის პირას, რაც ბრწყინვალედ განხორციელდა. ნაგებობამ დღემდე თითქმის დაუზიანებლად მოაღწია.

საქართველოს სხვა კუთხეებში XIII—XIV სს. აგებული ძეგლე-

ბიდან უნდა დავასახელოთ თბილისის მეტეხი, აგებული ადრე არსებული ეკლესიის ადგილას დემეტრე II თავდადებულის დროს, 1278—1289 წლებს შუა, და გერგეტის სამება სოფ. ყაზბეგთან, მთაზე (ეს ხევის ყველაზე დიდი ეკლესიაა).

XV ს. პირველ ნახევარში, ალექსანდრე I დიდის მეფობაში, ფართო მუშაობა გაიშალა თემურ-ლენგის შემოსევების დროს დანგრეული ნაგებობების აღსადგენად. „უსჯულო თემურს... მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყვნეს, ყოველივე საფუძველითგან დაექცივნეს“, — გვამცნობს ალექსანდრე I სიგელი. საქართველოს ხელისუფლებას ციხე-ტაძრების აღდგენისათვის საჭირო სახსრების თავმოსაყრელად საგანგებო ღონისძიებებისათვის მიუმართავს: მთელი ქვეყნის მასშტაბით კომლის თავზე სპეციალური, დროებითი სახელმწიფო გადასახადი დაუწესებია 40 თეთრ-სოდენობით, რომელსაც 1440 წლამდე უარსებია, შემდეგ კი გაუუქმებიათ. ამ დროისათვის ძირითადი სამუშაოები დაუსრულებიათ კიდევ აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა სვეტიცხოველში. ისანი ჯერ კიდევ ალექსანდრეს ბებიას — რუსას — დაუწყო: „გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა“, მაგრამ დამთავრებას რუსა ვერ მოსწრებია, ეს სამუშაოები ალექსანდრეს გაუსრულებია 1436 წელს. სწორედ ალექსანდრეს დროსაა აღდგენილი სვეტიცხოვლის გუმბათის ყელი და ფასადების ნაწილი. ისინი თავისი მორთულობით საგრძნობლად განსხვავდება ადრინდელი ნაწილებისაგან: მორთულობა ტექნიკურად მაღალ დონეზეა, მაგრამ მშრალი და დაწვრილმანებულია, არ სცილდება ხელოსნურ დონეს.

ქუცნა ამირეჯიბს — ალექსანდრე I პაპს — ხელახლა აუშენებია კახეთში „თემურისაგან სრულიად აოხრებული“, „რომელ საძირკველიცა არ დაშთომილ იყო“, ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია.

როგორც ტაძრის წარწერა გვაუწყებს, ალექსანდრეს შეუკეთებია რუისის ტაძარიც. აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა „გალატოზთა ზედა მომგე“ შალვა. თემურ-ლენგის დროს ტაძარი ძლიერ დაზიანებულია. აღადგინეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები, სხვა ფასადთა ნაწილები, დასავლეთის კარიბჭე; შიგნით შეაკეთეს წიბო, მოპირკეთება, თაღები, კამარები, ხელახლა გააკეთეს სვეტისთავეები. ამავე შეკეთების შედეგი უნდა იყოს გუმბათის ყელის ზედა ნაწილიც. აღდგენის დროს იყენებდნენ ძველ ფრაგმენტებს, მაგრამ უსისტემოდ. ამის გამო ფასადებზე ჩუქურთმათა განლაგება ქაოტუ-

რია. როგორც ჩანს, შალვა გამოცდილი ხელოსანი იყო, მაგრამ ხუროთმოძღვრის შემოქმედებით ნიჭს მოკლებული.

აღუდგენიათ და შემდეგ მცხეთისთვის გადაუციათ (1424 წ.) „ქაშთა ვითარებითა აგარიანთა ხელითგან მოშლილი“ გარეჯის უდაბნოები, სამთავისის ტაძარი. ალექსანდრეს საბერძნეთში, ათონის ქართულ მონასტერში განუახლება „სასწეულო და ამის გოდოლნი და სენაკნი“. საქართველოში აკრეფილი თანხის ნაწილი, ჩანს, უცხოეთის ქართულ მონასტრებსაც მოახმარეს.

XV ს. ბოლო მეოთხედში კახეთში ფართო აღდგენითი მუშაობა გააჩაღა ალექსანდრე I შვილიშვილმა, კახეთის მეფე ალექსანდრე I. სხვა ეკლესიებთან ერთად, მან აღადგინა ალავერდის ტაძარი, რომელიც „სხვათა მეფეთა ვერ ხელეყოთ“. ალექსანდრეს მხარში ედგნენ მისი დედა ნესტან-დარეჯანი და მეუღლე ანა. მათ ხელახლა ააშენეს ალავერდის გუმბათის ყელი, გუმბათი (ცვლილებების შეუტანლად), მოახატინეს ეკლესია.

ცხადია, მოკლე დროში და უსახსრობის პირობებში ყველა დანგრეულ ციხე-ტაძრის აღდგენა ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ აღდგენით სამუშაოებს მეტად ფართო მასშტაბი ჰქონია.

დაქვეითების ნიშნები ეტყობა მხატვრობასაც.

XIV საუკუნეში ჯერ კიდევ იქმნება მონუმენტური მხატვრობის საინტერესო ნიმუშები: დასავლეთ საქართველოს ძეგლებში XIII—XIV სს. მიჯნიდან ძირითად ნიშანს ქმნის ბიზანტიური მხატვრობის ე. წ. პალეოლოგოსთა პერიოდის სიახლეთა შეთვისება (სტობი, შერგილ დადიანის ექვტერი; გელათი, დავით ნარინის ექვტერი). მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სამცხის ტაძართა — საფარის, ზარზმის, ჭულეს ფრესკები (XIII—XIV სს.) ათაბაგთა (სარგისის, ბექას და მის ძეთა) პორტრეტებით, უბისის ტაძრის (იმერეთი) მოხატულობა (XIV ს.). წინანდელი მონუმენტულობა ადვილს უთმობს უფრო წვრილ კომპოზიციებს. ხაზების რიტმი უფრო ტენილია და მოძრავი. საინტერესოა აგრეთვე ლაშთხევრისა და ჩაყაშის (სვანეთი) ეკლესიათა ფასადების მოხატულობა საერო სიუჟეტებით, რომლებიც ქართული სასახლეების ფრესკებს უნდა იმეორებდეს.

ხელნაწერთა მორთულობა და მინიატურებიც მხატვრული თვალსაზრისით ჩამოუვარდება წინა საუკუნეების ნიმუშებს. XV ს. ძეგლებიდან ყურადღებას იპყრობს ჯრუჭის დავითნის მინიატურები ომის სცენებით.

ოქრომჭედლობის ნიმუშები ცოტა შემოგვრჩა, თუმცა XV საუკუნეში, როცა საქართველოში ინტენსიური აღდგენითი მუშაობა დაიშალა, გარკვეული გამოცოცხლება ოქრომჭედლობასაც დაეტყო. აღსანიშნავია ანჩისხატის კარედის შიდა პირის მოჭედილობა, შესრულებული სამცხის ათაბაგთა შეკვეთით. აქ გამოხატულია საღმრთო წერილის სცენები. ჭედვის ხარისხიცა და ტექნიკური დონეც აშკარად დაქვეითებულია. ეს ვლინდება როგორც ორნამენტებში, ისე ადამიანთა ფიგურებში, სადაც დაკარგულია პლასტიკა, დარღვეულია პროპორციები.

XV საუკუნეში მოღვაწეობდა ოქრომჭედელი მამნე, რომლის შესრულებულია სადგერისა და ბარაკონის საკურთხეველისწინა ჯვრების მოჭედილობა, გელათში — ჯვრის ბურთი, რომელიც შემდეგ უფრო გვიანდელ ჯვარს მიამაგრეს, და ზარზმის მიძინების ხატის მოჭედილობა (1920 წელს დაღუპული). მამნე ყველა ამ ნივთის წარწერაში იხსენიება. იგი თავისი დროის სახელმძღვანელო ოსტატი უნდა ყოფილიყო. სადგერის დიდი ჯვარი ტიპური ნიმუშია იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ხატებისა და ჯვრებისა, რომელთა მრავალფეროვანი კომპოზიციები ვრცლად გადმოგვცემს სარწმუნოებრივი ლეგენდის სცენებს. იგი ნაჭედილია მოოქრული ვერცხლის ფირფიტებზე, რომლებიც ხის ჯვარს ფარავდა. გამოსახულია ვედრება, 13 საუფლო დღესასწაული და წმ. გიორგის წამების სცენები. ჯვრის სიმაღლე 2,30 მეტრია, განივი მკლავების სიგანე — 1,06 მეტრი. ბარაკონის ჯვარი უფრო მცირე ზომისაა. მამნე იშვიათად მიმართავს ორნამენტს, მაგრამ, სადაც კი აკეთებს მას (მაგალითად, ბარაკონის ჯვარზე), ორნამენტი მრავალფეროვანია და მარჯვედ შესრულებული. ოსტატი ცდილობს იმასაც, რომ იკონოგრაფიულად უკვე დაკანონებულ სცენებში ერთგვარი სიცოცხლე და მოძრაობა შეიტანოს, მექანიკურად კი არ გადმოიღოს სიუჟეტები, არამედ თვითონ გაიაზროს ისინი.

ასეთია ქართული სუროთმოძღვრებისა და ხელოვნების განვითარების სურათი XIII—XV საუკუნეებში.

მცირე აღორძინების ხანის ქართული კულტურა (XVI—XVIII სს.)

XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. XVI—XVII საუკუნეების მანძილზე ამიერკავკასია ირან-ოსმალეთის მეტოქეობის ასპარეზად იქცა. საქართველოს მიწა-წყალზე თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარე ომებს აურაცხელი მსხვერპლი, ნგრევა და გაპარტახება მოჰყვა. ამას ემატებოდა ფეოდალური შინაომები, ჩრდილოკავკასიელი ტომების მარბიელი ლაშქრობანი, ტყვეთა სყიდვა, რომელმაც დასაღვლით საქართველოს ომებზე არანაკლები ზიანი მიაყენა, დაშვრობთაგან დაკისრებული მძიმე ხარკი და სხვა ვალდებულებანი, მოსახლეობის აყრა-გადასახლება და ტერიტორიული დანაკარგები, რომელთაგან უმძიმესი იყო ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცება. სამცხის სახით საქართველომ დაკარგა თავისი მიწა-წყლის ერთი მესამედი — ეკონომიკურად ძლიერი მხარე, სულიერი და მატერიალური კულტურის მძლავრი კერა.

უამთააღმწერელს თუ დავესესხებით, „იქმნა უკუქცევა სუცხვიანისა ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეტა ძლევა თათართა ზედა...“

ამ მძიმე უამს, XVI საუკუნეში, იწყება ქართული კულტურის ახალი აღმავლობა, რომელსაც სშირად „მცირე აღორძინებას“ ან „მცირე რენესანსს“ უწოდებენ, მხედველობაში აქვთ რა ქართული კულტურის დიდი აღმავლობა XI—XII საუკუნეებში.

მტრის შემოსევებს ქართული კულტურის არაერთი ძეგლი ემსხვერპლა. ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავთა ძარცვა-რბევის, მაჰმადიანთა ძალმომრეობის, ძვირფასი წიგნების უცხოეთში გატანის გამო განადგურდა და განიავდა ქართული ხელნაწერები. საბედნიეროდ, ქართველ კაცს სჯეროდა, რომ „ველი მწერლისა მიწასა შინა